სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები არაა ბრძანებით დამტკიცებული, მათ არ აქვთ გაკეთებული ანგარიშები მეთოდოლოგიით დადგენილი წესით (სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს წელიწადში ორჯერ, იანვარსა და ივნისში მონიტორინგს, დრაივზე ანგარიშების ატვირთვას და ა.შ.)., არ არის განსაზღვრული შემდგომი რეაგირების საჭიროებები (როგორც მეთოდოლოგიაშია აღწერილი).
სამოქმედო გეგმების შეფასების პროცესი სკოლას საშუალებას უნდა აძლევდეს გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, უნდა შეფასდეს დაგეგმვის პროცესის ხარისხი, იდენტიფიცირდეს არსებული გამოწვევები და პრობლემები.
რადგან პირველად ავტორიზაციაზე მონიტორინგის შედეგები არ მოეთხოვება სკოლას, შემოწმდა სკოლის მომავალი მზაობა, რომელსაც დადებითად ვაფასებ.

*სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნულ ინდიკატორში გამოვლენილი ხარვეზი გამოსწორებულია: სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი დამტკიცდა 2026 წლის 27 მაისის N17 ბრძანებით .*

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლისთვის პირველადი ავტორიზაციაა და აღნიშნული კომპონენტი ვერ შეფასდება.
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

მეთოდოლოგიის თანახმად, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში ხორციელდება, სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოში. შესაბამისად მოცემულ ეტაპზე სკოლას ვერ ექნებოდა სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების შედეგები. რაც შეეხება სამოქმედო გეგმის შეფასების შედეგებს ის ასახულია SWOT- ანალიზში, რომლის მიხედვითაც შემუშავებულია 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი;
- სკოლის გრძელვადიანი (2023-2030 წწ) სტრატეგიის დოკუმენტი;
- სკოლის სამოქმედო გეგმა (2025-2026წწ)
- სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

…………………………………………………………………………

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**
**3.1. პერსონალის მართვა**
**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის სტრუქტურა მოიცავს დირექციას, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინურ კომიტეტს, საგნობრივ კათედრებს და ტექნიკურ პერსონალს.
სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით. ხოლო სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებებით.
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით, არ არის გადაფარული სხვადასხვა დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები, დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა).
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები
- სკოლის დებულება

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ შემუშავებულია ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომლის შესაბამისად ხორციელდება სკოლაში პერსონალის მართვის პროცესებთან დაკავშირებული საკითხები. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მიზანია: უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით, ასევე, შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. შიდა სასკოლო დოკუმენტებითაა დარეგულირებული პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები, კერძოდ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს სკოლა სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ჩანაცვლებას ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები, თუმცა არსებული ადამიანური რესურსების პირობებში, სკოლას უჭირს პოლიტიკის ჯეროვნად განხორციელება, კერძოდ:სკოლის გეოგრაფიული მდებარეობიდან და ქართულენოვანი მოსახლეობის სიმწირიდან გამომდინარე რთულია კადრების შოვნა არსებული საათების დასაკმაყოფილებლადაც, სკოლაში მხოლოდ 10 ძირითადი მასწავლებელია . მიუხედავად პრობლემებისა, როგორიცაა კადრის მოძიება, სრულ შტატში არსებული პედაგოგების სიმცირე, რაც დამახასიათებელია მცირეკონტიგენტიანი სკოლებისთვის, სკოლა შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ეფექტურად უმკლავდება გამოწვევებს - საათობრივი ბადით გაწერილი საათებისთვის ყავს ყველა საჭირო კადრი და ჩანაცვლების საჭიროების შემთხვევაში ხშირად არამიზნობრივად, თუმცა მაინც ახერხებს თავისუფალი საათების ჩანაცვლებას, რათა მოსწავლეებს გაკვეთილები არ გაუცდეთ.
სკოლას მიეცა რჩევა, მუდმივად ეძიოს კადრები შესაბამის პორტალზე, teachersjobs.ge-ზე, კანონმდებლობით გაწერილი წესით.
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში ფუნქციონირებს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელობს სკოლა.

დასაქმებულთა პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ ორი თანამშრომლის პირადი საქმე არ იყო ადგილზე, **არ იყო** განთავსებული ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ არცერთი თანამშრომლის პირად საქმეში . **ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 33[1]-ე მუხლის თანახმად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა.**

**აღნიშნული ხარვეზი სკოლამ გამოასწორა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას და ამჟამად, პედაგოგების პირად საქმეებში განთავსებულია ყველა საჭირო დოკუმენტაცია , მათ შორის „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" ცნობები.**

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლის პერსონალის, კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მართვა ხორციელდება მონაწილეობით, რაც გულისხმობს პერსონალის ჩართულობას და თანამშრომლობას დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლის პედაგოგები და მშობელთა წარმომადგენლები განსაზღვრული არიან დისციპლინურ კომიტეტში, მრჩეველთა საბჭოში, რაც უზრუნველყოფს მონაწილეობით მმართველობის განხორციელებას.
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილებების გაზიარების პრაქტიკის მაგალითები და მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასკოლო სივრცეში. წარმატებული გამოცდილების კოლეგებისათვის გაზიარება საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ არსებულ გამოცდილებას, დასვან კითხვები, მიიღონ პასუხები, მოტივირდნენ კონსტრუქციული, პოზიტიური უკუკავშირით და აღიარებით.
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი;
- სკოლის პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის პერსონალის პირადი საქმე;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-19 მუხლი (შესრულებული სამუშაოს შეფასება), ასევე, სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის N32 ბრძანებით, არეგულირებს დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს , რომლის მიხედვითაც ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არეგულირებს პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის თანახმადაც პროფესიული განვითარება ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლის პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავებას და გაუმჯობესებას. აღნიშნული გულისხმობს შემდეგ ეტაპებს:

ა)პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას სამუშაოს კატეგორიის ცალკეული ფუნქციის თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე;

ბ) გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/ დაგეგმვას;

გ) მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-20 მუხლი არეგულირებს პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულთა მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებში, ხელს უწყობს პედაგოგების მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.( მაგ.2025 წელს ბუღალტერმა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გაიარეს ტრენინგი, 2025 წლის ივნისში პედაგოგებმა გაიარეს ტრენინგი და სხვა)
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის დირექციასთან, გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ახალმოსულ თანამშრომელს აწვდის ინფორმაციას მის სამუშაო პოზიციასა და როლთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, ასევე რა მოლოდინი აქვს მისგან ორგანიზაციას და რა ჩაითვლება სამუშაოს კარგად შესრულებაში. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელს, რომ თავი იგრძნოს ღირებულად, გაუჩნდეს მიკუთვნებულობის განცდა ორგანიზაციისა და მისი ღირებულებების მიმართ, რაც თავის მხრივ ზრდის თანამშრომლის კმაყოფილებისა და მოტივაციის დონეს.
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის მიერ დადგენილი მექანიზმების თანახმად თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. სკოლის შიდა რეგულაცია ითვალისწინებს მოტივაციის ამაღლების მიზნით, წახალისების სხვადასხვა ფორმების გამოყენების შესაძლებლობას.
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი;
- სკოლის პერსონალის შეფასების ფორმები;
- სკოლის შინაგანაწესი.
- 2025 წლის 23.05.-ის ბრძანება პრემიის გაცემაზე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ადგენს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს.

დოკუმენტის მიზანია: ა) შექმნას ერთიანი პოლიტიკა, სახელმძღვანელო სტანდარტები, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, პროცესების დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ განვითარებას. ბ) ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, გარე აქტორებისგან მიღებული უკუკავშირის გაანალიზება და გარე შეფასების ხელშეწყობა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი, ასევე დამხმარე პროცესები, კერძოდ მოცემული საკითხები რეგულირდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის მიერ წარმოდგენილია განცხადების/საჩივრის განხილვის შესახებ დოკუმენტი. პროცედურა ითვალისწინებს როგორც საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას თუკი მოსწავლეებს, მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს და სკოლის პერსონალს მიაჩნიათ, რომ სკოლის მხრიდან ირღვევა მათი უფლებები ან/და არასწორად იქნა გამოყენებული საქართველოს კანონმდებლობა , სკოლის პოლიტიკა და პროცედურები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია, რაც ხელს უწყობს მათი კანონიერი უფლებების დაცვას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი;
- ანგარიშები სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ;
- სკოლის შინაგანაწესი.

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს საჯარო თუ ინდივიდუალურ შეხვედრებს. სკოლის მიერ ვრცელდება მართვის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაცია და აღნიშნული საშუალებით ხდება უკუკავშირის მიღება. სკოლის დირექციის განმარტებით სკოლაში შემოსული მოქალაქეების ინფორმირებაზე, მათ შეკითხვებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს. იმ შემთხვევაში თუ საკითხი სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, განსაზღვრავს ვიზიტორისთვის შემდგომ ადრესატს სამსახურებრივი პოზიციის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია შიდა სასკოლო მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით (მაგალითად, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო). იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც დასტურდება კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმებით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კოლეგიური ორგანოების დებულებები;
- კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**
**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

   სკოლას აქვს:

   ა) უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომლის შეთანხმების წერილი „112"-სგან სკოლამ ვერ წარმოადგინა;

   ბ) სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება - დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, საევაკუაციო გეგმები, ცეცხლის ჩამქრობი ავტომატური სისტემა, რომელსაც ცალკე ემსახურება ათ ტონიანი ავზი, წყლის ჩამქრობი ავტომატური სისტემა, რომელიც სკოლის მთელ პერიმეტრზეა დაყენებული.

   გ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების (მდგრადობის) შესახებ დასკვნა. თუმცა, სკოლის გარშემო პერიმეტრზე გასატარებელია უსაფრთხოების ზომები, რაზეც სკოლას გაკეთებული აქვს მიწერილობა.

   დ)სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა

   ე)ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესი სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი  არის აღჭურვილი 23 ცალი ვიდეომონიტორინგის სისტემით (11 -გარე, 12 - შიდა).

სკოლას ყავს 2 დარაჯი და სკოლაში მორიგეობის კულტურა, რომელიც საგაკვეთილე პროცესში და დასვენებებზე სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგს უზრუნველყოფს.

**სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა შესაბამის ორგანოსთან მიწერილობა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების თაობაზე.**

**სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში დაადასტურა, რომ მან მიმართა საგანმანათლებლო რესურსცენტრს და სახანძრო უსაფრთხოების სამსახურს, რომლისგანაც ელის რეაგირებას. სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმაში გაწერილია აღნიშნული ხარვეზის 2026 წლის სექტემბრამდე მოგვარება.**

**სკოლაზე გაიცა რეკომენდაცია:**

- დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს უფლებამოსილი პირი, რომელიც სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.
- ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად, გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. რომელსაც შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში აქვს გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა.
- ვინაიდან, სკოლა არის ახალგარემონტებული და რემონტის დროს შესრულებული სამუშაოების შედეგად შენობის ტიხრები და გასასვლელები არ ემთხვევა საევაკუაციო გეგმას, მიმართოს შესაბამის ორგანოს, რათა საევაკუაციო გეგმა შენობის არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოიყვანოს.

**ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენასის**

სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, კერძოდ მოწყობილია ექთნის კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და რომლის კვალიფიკაციაც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლას გაწერილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. **სკოლას მიეცა რჩევა** კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა, დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა, ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა, ასევე სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი. (აღნიშნული დოკუმენტების წარმოების ვალდებულება დადგენილია, საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი)

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკა და მასწავლებელთა მორიგეობის კულტურა, რომელიც ამ ეტაპზე უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. **სკოლას მიეცა რჩევა სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს უფლებამოსილი პირი, რომელიც სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.**

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. სკოლის მიერ შემუშავებულია ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს.

მშობლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სკოლაში სათანადოდაა დაცული მოსწავლის ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ ემოციური უსაფრთხოება. ძალადობა (მისი ნებისმიერი ფორმით გამოვლინება) არის აღმოფხვრილი, სკოლაში გარეშე პირთა შემოსვლის პროცესი და მოსწავლეთა მიერ სკოლის ტერიტორიის დატოვების პროცესი არის გაკონტროლებული, ამასთან მოსწავლეთა ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად, შემუშავებულია სათანადო მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე კაცებისათვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით. სანიტარული კვანძი მოწყობილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) ინახება საქმის მწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. სკოლა იცავს მონაცემების კონფიდენციალურობას. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. სკოლას ჰყავს განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

სკოლამ წარმოადგინა მშობელთა ინფორმირებისა და პერსონალურ მონაცემებზე მათი თანხმობის ხელმოწერილი ფორმები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს. **სკოლას მიეცა რჩევა დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს პეროსნალურ მონაცემებს შეინახოს საკეტებით დაცულ კარადებში.**

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვალდებულია განიხილოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები და მოისმინოს სკოლის დირექტორის ანგარიში რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. **სკოლას მიეცა რჩევა** მრჩეველთა საბჭოს ფორმატში, სათანადოდ მოხდეს იმ საკითხების განხილვა/შეფასება, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

- შენობის მდგრადობის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
- სკოლის დირექტორის ანგარიში;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**
**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის ინფრასტრუქტურა, იძლევა საშუალებას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, გათბობა, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება.

სკოლის სარგებლობაშია ასევე საქვაბე , გენერატორი და შენობა-ნაგებობა, რომელშიც წყლის მომარაგებისა და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის აღჭურვილობაა განთავსებული.
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს სასკოლო რესურსების ხელმისაწვდომობა, რაც გულისხმობს ღიაობას, გამჭვირვალობას და მიუკერძოებლობას სასკოლო საზოგადოების განურჩევლად ყველა წევრისთვის დაწესებულების ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით სარგებლობისას. ხელმისაწვდომობა რესურსებზე ასევე, მნიშვნელოვანი მოტივატორია მასწავლებლებისთვის, სასკოლო გარემოში მეტი დრო დაუთმონ მოსწავლეებთან ინდივიდუალურ ან ჯგუფურ მუშაობას.
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში განთავსებულია ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და წიგნადი ფონდით. სკოლის მიერ დამტკიცებულია ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება. სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობას ორგანიზებას, განსაზღვრული სერვისების მიწოდებას სასკოლო საზოგადოებისთვის უზრუნველყოფს სკოლის ბიბლიოთეკარი. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნები არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ასევე, სკოლაში არ არის არც ანბანური, არც თემატური კატალოგები, რაც დაეხმარებოდა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასურველი წიგნის მოძიებაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა საბიბლიოთეკო რესურსის ხელმისაწვდომობას. **სკოლას მიეცა რჩევა - ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დაამუშაოს საბიბლიოთეკო წესის მიხედვით.**
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა არის მისადაგებული სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე, კერძოდ სკოლის შენობა იძლევა ეტლით მოსარგებლე პირთა გადაადგილების საშუალებას, ვინაიდან სკოლის შენობაში მოწყობილია ლიფტი მუშა მდგომარეობაში, პანდუსები და ადაპტირებული სველი წერტილები.
მიუხედავად იმისა, რომ სკოლას მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში არ ყავდა სსსმ მოსწავლე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის თანახმად, სკოლა იცავს ,,გონივრული მისადაგების" პრინციპს, რაც გულისხმობს

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად აქვთ კეთილმოწყობილი ეზო, სპორტ დარბაზი, სპორტული მოედანი, საკლასო ოთახები აღჭურვილია ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხებით, დაფებით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და კომპიუტერების ოთახი, რომელიც აღჭურვილია ინვენტარით. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაკვეთილების შემდეგ დარჩნენ სკოლაში კონკრეტული აქტივობების დაგეგმვის მიზნით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა;
- სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება;
- ბიბლიოთეკართან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლის შენობაში განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში მაქსიმალურად უზრუნველყოფილია კომპიუტერებისა და შესაბამისი მომსახურების ხელმისაწვდომობა როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლის დირექციის განმარტებით მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლაში არსებული ტექნოლოგიებით, ისე რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. სკოლის მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა.

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს ერთიანი საქმისწარმოების წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით 2017 წელს), რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მატერიალური და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. აღნიშნული წესი აზუსტებს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირება, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება. აღნიშნული დოკუმენტიარ მოიცავდა ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა რომ **სკოლის საქმისმწარმოების წესში შეტანილია ცვლილება ელექტრონული საქმისწარმოების საკითხების დამატებასთან დაკავშირებით. და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ 2026 წლის 27 მაისის N16 ბრძანებით.**

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით. საქმისწარმოების ერთიან წესში არაა გათვალისწინებული ელექტრონული საქმის წარმოების წესი. **სკოლას მიეცა რჩევა განაახლოს საქმისწარმოების ერთიანი წესი.**

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის ,,ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" N08/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

საქმისწარმოების პროცესის შესწავლით დგინედება, რომ დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის საქმისწარმოების წესი;

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა პირისპირ კომუნიკაციების მეშვეობით სათანადოდ ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის დერეფნებში განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და საგანმანათლებლო სერვისების შესახებ. სკოლას აქვს ვებ.გვერდი და სოციალური ქსელები, თუმცა ამ ეტაპამდე ვერ მოხერხდა მათი გააქტიურება. **სკოლას მიეცა რჩევა სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად გამოიყენოს ონლაინ საკომუნიკაციო არხებიც.**

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, დგინდება რომ, სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ არის სანდო და უტყუარი. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში დადასტურებას. ექსპერტთა მოსაზრებით სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ინფორმაციის მართვადობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის დერეფნებში განთავსებული ინფორმაციის ანალიზისა და მონიტორინგის ვიზიტის დროს სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენოს არსებული საკომუნიკაციო არხები, ამასთან საზოგადოებასთან კომუნიკაციის

პროცესში სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ ეტაპზე სკოლა უკუკავშირისთვის იყენებს გამოკითხვის მხოლოდ ფიზიკურ ანკეტირებას. **სკოლას მიეცა რჩევა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვისა და უკუკავშირის მისაღებად გამოიყენოს მრავალფეროვანი არხები.**

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც ვიზიტის მომენტში არ იყო გააქტიურებული და არ იდო სკოლის შესახებ ინფორმაცია. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც **გაწერილი აქვს აღნიშნული ხარვეზის 2026 წლის სექტემბრამდე აღმოფხვრა.**

**სკოლას აღნიშნულ საკითხზე მიეცა რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც 2026 წლის სექტემბრამდე გააქტიურებს სკოლის ვებ გვერდს და განათავსებს სკოლის შესახებ ინფორმაციას.**

**ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

ვიზიტის მომენტში ვებ გვერდზე არ იდო სკოლის შესახებ ინდიკატორით განსაზღვრული ინფორმაცია. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნულ ხარვეზს 2026 წლის სექტემბრამდე აღმოფხვრის.

**სკოლაზე გაიცა რეკომენდაცია, 2026 წლის სექტემბრამდე განათავსოს სკოლის ვებ გვერდზე მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და სხვა, ინდიკატორით მოთხოვნილი ყველა საჭირო მასალა.**

**ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ვებ.გვერდი - skolebi.emis.ge

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**
**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ვაუჩერული დაფინანსება). სკოლის მიერ შემუშავებული ბიუჯეტი მოიცავს მიმდინარე საოპერაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. არ იკვეთება სამოქმედო გეგმის განხორციელების რისკები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა და დაგეგმვა, ხარჯების მონიტორინგი; ფინანსური კონტროლი ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ბიუჯეტი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**
**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**
**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების დაცვის გარანტიებს, შინაგანაწესში მოცემულია საკითხები მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლის მიერ ასევე შემუშავებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის დარღვეული უფლებების შესახებ საჩივრის წარდგენის წესს და

განხილვის პროცედურას. ექსპერტთა მოსაზრებით სკოლის შიდა რეგულაციებით მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია.

სკოლის შიდა რეგულაციით, მოსწავლეებს აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ცხოვრების იმ ასპექტების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, რომლებიც უშუალოდ მათ ეხებათ.

სკოლის სამუშაო პრაქტიკის ანალიზით, დგინდება, მოსწავლეთა თვითმმართველობის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები სკოლის მიერ შექმნილი არ არის. **სკოლას მიეცა რჩევა,** სათანადო აქტივობების გამოყენებით ( მაგალითად: მოსწავლეებისთვის დავალებების დარიგება და მათი ინფორმირება იმის თაობაზე, თუ რატომ და როგორ არიან ჩართულები პროექტში) უზრუნველყოს მოსწავლეთა თვითმმართველობის როლის გაზრდა. რეალური მონაწილეობა მოსწავლეთა თვითმმართველობას აქტიურობისკენ უბიძგებს და შეუქმნის განცდას, რომ შეუძლიათ არსებულ მდგომარეობაზე ზემოქმედება და ნამდვილი ცვლილების განხორციელება. მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა იცოდნენ, როგორ წარმოადგინონ ინიციატივა, გაავრცელონ ინფორმაცია, მიიღონ გადაწყვეტილება, გაიზიარონ პასუხისმგებლობა, შეადგინონ და განახორციელონ გეგმა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

. სკოლის შინაგანაწესი, განთავსებულია სკოლის დერეფნებში. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას მოსწავლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული აქვს კონონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმის შესახებ დოკუმენტი. აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. კერძოდ, კანონმდებლობის გაცნობას, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებას თუ აღდგენას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა მიყვება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს, როგორებიცაა:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობა;
- მოსწავლეთა მობილობა
- საფეხურის დაძლევა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ტერიტორიაზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

მშობლებთან, მოსწავლეებთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობა და/ან დამატებით შეთავაზებული სერვისი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლაში დასაქმებული ყველა პირისთვის, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას, როგორც მოსწავლეებისთვის ასევე მათი მშობლებისა თუ კანონიერი წარმომადგენლებისთვის. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ცალკეული დოკუმენტები, რომლებიც ეხება მოსწავლეთა კორპუსის მართვას, განთავსებულია სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმის შესახებ დოკუმენტი;
- მოსწავლეთა პირადი საქმე;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი სათანადო მექანიზმები, კერძოდ სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გაადვილოს სასწავლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში გადმოსულ ყველა ახალ მოსწავლეს, პირველ კლასელებს სკოლა უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურებების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრით. სკოლის მიერ დანერგილი სამუშაო პრაქტიკის და შემუშავებული მექანიზმების ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სკოლა ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ახორციელებს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, კერძოდ, მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს სკოლის მიერ მიეწოდება ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესახებ, როგორიცაა მოსწავლის მობილობის უფლება,

მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებული საკითხები, ექსტერნის გამოცდების ჩატარების წესი და პირობები და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის დირექციასთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც აძლევს. ეს ძირითადად დამატებითი, არაფორმალური, ანუ სასწავლო პროგრამის მიღმა განხორციელებული აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივათა მხარდაჭერის გზით ხორციელდება.

სკოლაში ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა სხვადასხვა ინტერესების შესაბამისი კლუბები, თუმცა სხვადასხვა აქტივობებითა და არაფორმალური განათლების ხელშეწყობით, სკოლა ცდილობს მოსწავლეთა ინტერესების დაკმაყოფილებას. (ვიზიტის დღეს სკოლას ჰყავდა სტუმარი კადეტთა კორპუსიდან, სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი თბილისის სარკინიგზო კოლეჯთან, 3 და 8 მარტს მოსწავლეთა ინიციატივით მოეწყო სასკოლო ღონისძიება და სხვა)

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის დირექციასთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან გასაუბრებით დგინდება,რომ სკოლა მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და აფასებს მათ. მიღებული შეფასების საფუძველზე სკოლა გეგმავს მოსწავლეთა მომსახურების მექანიზმების გაუმჯობესებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი;
- მოსწავლეთა გამოკითხვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები.

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის კონსულტაციებს. სკოლას შემუშავებული აქვს კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები.

**ნდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლაში არსებული სადამრიგებლო მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეებს, მოსწავლეობის ასაკიდან ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლის პროცესში, რომლის ძირითადი მიზანია შეიქმნას პირობები რათა მოსწავლემ შეძლოს სასურველი პროფესიის შერჩევა საკუთარი ინტერესების, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების, განვითარების პერსპექტივისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს მიეწოდება ჯეროვანი ინფორმაცია ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით პერიოდულად აფასებს გაწეული მომსახურების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მემორანდუმი
- სადამრიგებლო პროგრამა

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში და სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შესახებ დოკუმენტში განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში სსსმ მოსწავლე სკოლაში არ ირიცხებოდა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შესახებ დოკუმენტი;

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა არ ახორციელებს ისეთ დამატებით სერვისებს, რომელსაც ჭირდება მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღება.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა არ ახორციელებს ისეთ დამატებით სერვისებს, რომელსაც ჭირდება მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღება.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

. სკოლა არ ახორციელებს ისეთ დამატებით სერვისებს, რომელსაც ჭირდება მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღება.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

…………………………………………………………………………

…………………………………………………………………………

…………………………………………………………………………

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის) | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>**(ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საბაზო საფეხურისთვის)** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი<br>(ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საშუალო საფეხურისთვის) | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

### 2. სასკოლო კურიკულუმი
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**
   სკოლას **დირექტორის 26.08.2025 წლის N9 ბრძნანებით** დირექტორისდამტკიცებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ფუნქციური როლები, პრიორიტეტები და ხედვები. კურიკულუმის დაგეგმვა და განვითარება ხორციელდება მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლებისა და ადმინისტრაციის ჩართულობით, რაც დოკუმენტურად არის განსაზღვრული და ეფუძნება წინა წლის კურიკულუმის ანალიზს, ასევე გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**
   თემებისა და საკითხების შერჩევა ეფუძნება როგორც საგნობრივ სტანდარტს, ისე სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. კურიკულუმის დაგეგმვა ხორციელდება კათედრების თანამშრომლობით და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით. ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ პედაგოგები კომპლექსურ დავალებებს არჩევენ მოსწავლეთა ასაკის, შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი განსაზღვრავს ერთიან ხედვას, სადაც პროცესში ჩართულია მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და ადმინისტრაცია.კათედრების სხდომებზე მუშავდება საგნობრივი თემები, დავალებები, რესურსები და შეფასების მიმართულებები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შემოქმედებით დავალებებს, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებასა და ტრანსფერს. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ასახავს სასკოლო პრიორიტეტებს, რომლებიც ინტეგრირებულია საგნობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ საგნობრივი კურიკულუმები კათედრების მიერ ერთობლივად არის შემუშავებული და მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვასა და შესაბამის აქტივობებს განსაზღვრავს. პროცესში ჩართულია ყველა მასწავლებელი, ხოლო სწავლების დაგეგმვა ეფუძნება როგორც საგნობრივ მოთხოვნებს, ისე მოსწავლეთა საჭიროებებს.მასწავლებლები რეგულარულად განიხილავენ აქტუალურ საკითხებს მოსწავლეებთან და მშობლებთან, რაც ქმნის კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობის შესაძლებლობას. წლის განმავლობაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესზე დაკვირვება და მიღებული შედეგების ანალიზი, რის საფუძველზეც იგეგმება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული აქტივობები და სასკოლო პროექტები.სკოლაში გამოხატულია თანამშრომლობითი სამუშაო კულტურა, რაც უზრუნველყოფს მასწავლებელთა შორის გამოცდილებისა და ინფორმაციის გაზიარებას მოსწავლეთა მიღწევებისა და საჭიროებების შესახებ. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ხდება კურიკულუმის შინაარსის მუდმივი დახვეწა. სკოლა აღნიშნული მიმართულბით აქტიურად თანაშორმლებს მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო კურიკულუმი სრულად გაზიარებულია და გათავისებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მის შემუშავებასა და დახვეწაში აქტიურად მონაწილეობენ სკოლის ადმინისტრაცია, კათედრების თავმჯდომარეები, მასწავლებლები სკოლის ყველა მასწავლებელს გათავისებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის ერთიან და ეფექტურ განხორციელებას. სკოლა კურიკულუმების შესახებ ინფორმაციას უზიარებს მშობლებს და მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებს, რაც მტკიცდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ოქმებითა და ვიზიტის დროს განხორცილებული ინეტრევიუბით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
- კათედრის ოქმები;
- მშობლებებთან ჩატარებული შეხვედრების ამსახველი დოკუმენტები ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა ;
- საგნობრივი კურიკულუმები ;
- მოსწავლეთა ნამუშევრები შემოქმედებითი ტიპის დავალებების მიხედვით.  ;

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | უზრუნველყოფს ცოდნისა და უნარების ეტაპობრივ განვითარებას. დაწყებით საფეხურზე იგი ქმნის საფუძველს საბაზისო ცოდნისა და უნარების ფორმირებისთვის; სამიზნე ცნებები გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან და განსაზღვრავს საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებს, ხოლო სტრუქტურირებული თემები და კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და პრაქტიკულ გააზრებას. საბაზო საფეხურზე აქცენტი გადადის ცოდნის გაღრმავებასა და უნარების განვითარებაზე; კომპლექსური დავალებები უკვე შუალედურ მიზნებად გამოიყენება და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რაც უზრუნველყოფს მათი პროგრესის თანმიმდევრულ განვითარებას. საშუალო საფეხურზე სწავლება მიმართულია ღრმა ანალიზის, კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარების ჩამოყალიბებაზე; კურიკულუმი კვლავ ეფუძნება სტანდარტებს და მოიცავს კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე და ხელს უწყობს ცოდნის ინტეგრაციას.<br><br>**რჩევა:** გამოიყენეთ მრავალფეროვანი რესურსები და დავალებები, რათა სწავლება იყოს უფრო მოტივაციური, კონტექსტზე დაფუძნებული და მკაფიოდ დაუკავშირდეს დასახულ მიზნებსა და შედეგებს.<br><br>**რჩევა:** გააძლიერეთ ერთიანი კურიკულუმის ჩარჩოს დაცვა და თანამშრომლობითი მუშაობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლების ხარისხის სტაბილურობა და საერთო სტრატეგიული მიმართულება.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლაში შექმნილი კურიკულუმები წარმოადგენს დოკუმენტს სადაც სწავლების პროცესი განხილულია როგორც ცოდნის კონსტრუირება. ამასთანავე სწავლება ემყარება კომპლექსური/შემოქმედი ტიპის დავალებების შექმნასა და შესრულებას სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, შესაძლებლობები, ინტერესი და საჭიროებები.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სკოლას დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები ყველა კლასისთვის ორივე უცხოურ ენაში (ინგლისური და რუსული ენები). კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მოიაზრება, როგორც მოსწავლის განვითარების გზა, საშუალება, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. ამ ეტაპზე კათედრას შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილი აქვს საინტერესო კომპლექსური ტიპის დავალებები უცხოურ ენებში შესაბამის სასწავლო შინაარსთან და თემატურ ერთეულებთან ერთად და ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას და საჭიროებებს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | **მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები ყველა საფეხურზე აგებულია გრძელვადიან მიზნებზე და უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას. დაწყებით საფეხურზე ისინი ქმნის საფუძველს შემოქმედებითი უნარების, წარმოსახვისა და თვითგამოხატვის ჩამოყალიბებისთვის; სწავლება ორგანიზებულია სასწავლო კურსის დონეზე განსაზღვრული შედეგების მიხედვით, ხოლო შემოქმედებითი დავალებები გამოიყენება როგორც შუალედური მიზნები და უზრუნველყოფს აქტიურ ჩართულობას. საბაზო საფეხურზე აქცენტი გადადის უნარების გაღრმავებასა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენაზე; კურიკულუმი ინარჩუნებს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტაციას, ხოლო შემოქმედებითი დავალებები კვლავ წამყვან როლს ასრულებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის** |

| | |
|---|---|
| | **თანმიმდევრულ განვითარებას. საშუალო საფეხურზე სწავლება მიმართულია პროექტული მუშაობის გაძლიერებაზე და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე; კურიკულუმი ეფუძნება გრძელვადიან მიზნებს და მოიცავს შემოქმედებით დავალებებს, რომლებიც ხელს უწყობს მრავალმხრივ განვითარებას, მათ შორის კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარების ჩამოყალიბებას.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა, ამას მოწმობს ის შუალედური მიზნები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც სახელმწიფო ენის კურიკულუმის ცხრილებშია ასახული. ყველა თემა კურიკულუმში შეჯამებულია შემოქმედებითი დავალებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ საგნის სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური და მაქსიმალურად მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებზე.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნა, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგებს შეტანილი აქვთ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული მატერიალური რესურსით - კარგი ინფრასტრუქტურითა და სპორტული ინვენტარით.. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით, ასევე დამხმარე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი |

| | |
|---|---|
| | ვარჯიშებითა და პირდი ჰიგიენის დაცვის შესახებ. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სამომავლოდ სასურველი იქნებოდა, რომ საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში იყოს შეტანილი თემა თეორიული მიმართულებითაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილი დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზნებად წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების სახით<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| | |

## 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | ბუნებისმეტყველების სწავლება ყველა საფეხურზე დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად და ეფუძნება სკოლის მიერ წარმოდგენილ ჩარჩოს, სადაც განსაზღვრულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და შუალედური სასწავლო მიზნები. აღნიშნული სტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულობასა და მიზნობრივ დაგეგმვას როგორც დაწყებით, ისე საბაზო და საშუალო საფეხურებზე. ამასთან, კურიკულუმი საჭიროებს მცირეოდენ დახვეწას, რათა უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს მიზნებსა და აქტივობებს შორის კავშირი და გაძლიერდეს სწავლების ეფექტიანობა ყველა საფეხურზე.<br><br>**რჩევა:** სასურველია კურიკულუმები მეტად იყოს სკოლის საჭიროებებზე მორგებული რეალური და დაძლევადი, ყოველივე ეს გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმის შემუშავების დროს სკოლას გააზრებული აქვს გრძელვადიანი და მოკლევა-დიანი მიზნები. დოკუმენტის მიხედვით სწავლების პროცესი და მოსწავლეებისათვის ცოდნის გადაცემა და გააზრება ემყარება ესგ მიხედვით განსაზღვრულ შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. ამასთანავე სწავლება დამყარებულია კომპლექსური ბუნების დავალებებზე, რაც |

| | |
|---|---|
| | ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითობას, დამუკიდებელი აზროვნებისა და სხვა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას.<br>**რჩევა** : ყველა საფეხურზე კურიკულუმების შედგენის დროს გარკვეულ შემთხვევებში კონტექსტ მაგალითითები გამოსაცვლელია/დასახვეწია: მაგ. საშუალო საფეხურზე 10 კლასის საქართველოს ისტორიის კურიკულუმი, პირველ თემაში საქართველო უძველეს პერიოდში შესასწავლი საკითხია ქვის ხანა საქართველოში, შემოქმედებითი დავალებაა დმანისის ექსპედიციაში მონაწილის დღიური და კონტექსტ მაგალითია დიაოხი. აქ უმჯობესი იქნებოდა მოსწავლეთათვის შესადარებელ მაგალითად ან სხვა ქართული პალელითის ნამოსახლარი მოგვეტანა, ან იმავე პერიოდის ნამოსახლარები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებიდან, რაც მოსწავლეს უკეთ გააზრებინებდა იმ ეპოქის შესასწავლად სხვადასხვა ქვეყნის წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე საგნობრივ სტანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების მიხედვით. კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი მოიცავს ისეთ დავალებებს და აქტივობებს (მაგალითად, სასწავლო პროექტები - ***მე-2 კლასი „წიგნი ჩემს შესახებ“,*** კომპლექსური ტიპის დავალებები;), რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ჩაერთონ კომუნიკაციაში, იაზროვნონ კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას გამოიჩინონ შემოქმედებითობა, გამოავლინონ თანამშრომლობის, პრობლემის გადაჭრის უნარები, გუნდურობა, შეძლონ რეფლექსიის გაკეთება და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს მათი ხასიათის და პიროვნების ჩამოყალიბებას. საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე საგნობრივ სტანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების მიხედვით. კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი მოიცავს ისეთ დავალებებს და აქტივობებს (მაგალითად, სასწავლო პროექტები - ***მე-9 კლასი*** |

| | |
|---|---|
| | *პრეზენტაცია თემაზე:"Жизнь замечательных людей."* კომპლექსური ტიპის დავალებები; *CLIL პროექტი 'Tourist Attractions' English, History, Geography* ), რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ჩაერთონ კომუნიკაციაში, იაზროვნონ კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას გამოიჩინონ შემოქმედებითობა, გამოავლინონ თანამშრომლობის, პრობლემის გადაჭრის უნარები, გუნდურობა, შეძლონ რეფლექსიის გაკეთება და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს მათი ხასიათის და პიროვნების ჩამოყალიბებას. საშუალო საფეხურზე კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე საგნობრივ სტანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების მიხედვით. კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი მოიცავს ისეთ დავალებებს და აქტივობებს (მაგალითად, ***შემოქმედებითი დავალება, კლასი 10, პრეზენტაცია - „მოგზაურობა მე-16 საუკუნის ინგლისში",*** კომპლექსური ტიპის დავალებები;), რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ჩაერთონ კომუნიკაციაში, იაზროვნონ კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას გამოიჩინონ შემოქმედებითობა, გამოავლინონ თანამშრომლობის, პრობლემის გადაჭრის უნარები, გუნდურობა, შეძლონ რეფლექსიის გაკეთება და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს მათი ხასიათის და პიროვნების ჩამოყალიბებას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | **დაწყებითი საფეხურის** ესთეტიკური საგნების კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში, შემოქმედებითი დავალება განიხილიება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს შუალედური დავალების როლს. რომელთანაც შესაბამისობაშია კურიკულუმში წარმოდგენილი შუალედური დავალებები. ორიენტირებულია შემოქმედებით პროცესებზე. მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუ, მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები ( მუსკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საშუალო საფეხურის მუსიკისა და სახვით ხელოვნების პროექტული სწავლების კურიკულუმებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში შემოქმედებითი პროექტი განიხილება როგორც შუალედური სასწავლო მიზნები. შესაბამისად კურიკულუმი |

| | |
|---|---|
| | მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. საბაზო საფეხურის ესთეტიკური საგნების კურიკულუმებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში შემოქმედებითი დავალება განიხილება როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს შუალედური დავალებების მნიშვნელობას, რასაც შესაბამისობაში მოჰყავს კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები. აღნიშნული მიდგომა ორიენტირებულია შემოქმედებით პროცესებზე და მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე.<br>**რჩევა:** ხელოვნებაში 4-5 კლასებში თემატური ბლოკები გამოკვეთეთ თვალსაჩინოდ.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კურიკულუმები აკმაყოფილებს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათში წარმოდგენილია ყველა ძირითადი კომპონენტი: თემები, საკითხები, შუალედური მიზნები, საგნის სწავლებისას მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გვაძვლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოსწავლეთა მიღწევებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით აფასებს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | წარმოდგენილ კურიკულუმებში თემები, საკითხები, , რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე. კურიკულუმი მიემართება ესგ-ით განსაზღვრულ მიზნებს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმასა და საგნობრივ სტანდარტს. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით |

| | |
|---|---|
| | შეთავაზებული ტემატური ბლოკებიდან. კურიკულუმში შეტანილია თემები როგორ პრაქტიკული, ასე თეორიული მიმართულებით.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომელშიც ასახულია ყველა სასწავლო მიმართულება და სამიზნე ცნება. დავალებებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი იაზრებს საკითხის მნიშვნელობას და შეძლებს მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანეთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. კომპლექსური (შემოქმედებითი) დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, სხვადასხვა აქტივობები, მორგებულია შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე.<br><br>**რჩევა:** ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში(II-III-IV კლასი) დააკონკრეტეთ კონკრეტული დავალებით რომელი სამიზნე ცნება მუშავდება, ასევე გამოყავით ამავე ცნების კონკრეტული ქვეცნებები. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები მიზანმიმართულად არის შერჩეული და შეესაბამება განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს. ძირითად რესურსად გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელო, თუმცა კურიკულუმში ასევე ინტეგრირებულია ონლაინ რესურსები, რომლებსაც პედაგოგები აქტიურად იყენებენ როგორც სასწავლო პროცესში, ისე საშინაო დავალებების ფარგლებში. თუმცა სასურველია რესურსების კიდევ უფრო გამრავალფეროვნება, რათა სწავლების პროცესი გახდეს მეტად მრავალფეროვანი და ეფექტიანი.<br><br>**რჩევა:** კურიკულუმში ასახონ მრავალფეროვანი რესურსები. მიეთითოს გამოყენებული ბმულების კონკრეტული დასახელება<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელს უწყობს სწავლა სწავლების პროცესს და მიმართულია მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის ამაღლებისაკენ. ამასთანავე დაწყებით საფეხურზე შემოქმედებითი ტიპის დავალებებთან და საბაზო და საშუალო საფეხურის შემაჯამებელი ტესტის დავალებებთან და დაკავშირებით სკოლას მიეცა<br><br>**რჩევა:** დაწყებით საფეხურზე-შემოქმედებითი დავალების მიზანი და შეფასების ინდიკატორები თანხვედრაშია, მაგრამ შინაარსობრივ ნაწილში - განსახორციელებელ აქტივობებში დასახვეწია, უფრო მეტად უნდა დაუახლოვდეს დავალების მიზანს. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა** :საბაზო და საშუალო საფეხურზე შემაჯამებელ დავალებებში შინაარსობრივი ნაწილის შემოწმება ცნებათა გააზრების კონტექსტში იყოს წარმოდგენილი.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი (სახელმძღვანელო, მოსწავლის სამუშაო რვეული), აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც თავისთავად ხელს უწყობს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში ყველა საფეხურზე წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს და მიზანმიმართულად არის შერჩეული სასწავლო შედეგების მისაღწევად. გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე ინტერნეტრესურსები, რაც სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოსა და შემოქმედებითს ხდის და ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტაციის, თანდართული მასალებისა და ვიზიტისას გამოთხოვილი დოკუმენტების ანალიზი ადასტურებს, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები ეფექტიანად უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო შედეგების მიღწევას როგორც დაწყებით, ისე საბაზო და საშუალო საფეხურებზე.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენაში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები, მასწავლებელთა მიერ შექმნილი მატერიალური და ციფრული სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებულია საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგებს შეტანილი აქვთ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული მატერიალური რესურსით - კარგი ინფრასტრუქტურითა და სპორტული ინვენტარით.. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით, ასევე დამხმარე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებითა და პირდი ჰიგიენის დაცვის შესახებ. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, დავალებების ნიმუშები, სასარგებლო ბმულები, სხვადასხვა ონლაინ პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, პლაკატები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით ცვლიან აქტივობებს, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და რესურსებს. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ასევე ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი მეტწილად ეყრდნობა ინკლუზური და დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**<br>**რჩევა**-სასურველია აქტივობები გაიწეროს იმგვარად, რომ მიმართული იყოს და უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა. ასევე სასურველია, შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობების შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის- კომპლექსურ დავალების/კომპლექსური ბუნების დავალების, ან სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს,უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან ინკლუზიური მიდგომები.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სწავლების პროცესში სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. ხელს უწყობს მათი შესაძლებლობების წარმოჩენას და აძლევს საშუალებას ჩაერთოს სასკოლო აქტივობებში<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | ინტერვიუს დროს მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ათვლის წერტილი არის თითოეული მოსწავლე; შესაბამისად, სასწავლო პროცესში კათედრის მუშაობა ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რომლის დროსაც მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ |

| | |
|---|---|
| | საჭიროებებს, ინტერესის სფეროს და სწავლის უნარებს. მაგალითად, ხდება მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო მიზნების განსაზღვრა, სასწავლო პროცესის, შინაარსის, საბოლოო პროდუქტის ფორმის დიფერენცირება, შესაბამისი ეფექტური რესურსების შერჩევა; განსახორციელებელი აქტივობების, დასასწავლი მასალის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება და ადაპტირება.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | იკვეთება, რომ სკოლას ამ ეტაპზე არც ერთ საფეხურზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა საჭიროების შემთხვევაში აქვს მათი მხარდაჭერისთვის შესაბამისი მზაობა. მასწავლებელთა მიერ სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მოსწავლეთა მიღწევების აღწერა ადასტურებს, რომ სწავლება ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები, რის შესაბამისადაც ხდება დავალებებისა და აქტივობების მოდიფიცირება. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ეფექტიან ჩართულობასა და პროგრესს ყველა საფეხურზე.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ აქვთ დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინების პრაქტიკა და წარმოადგინეს კიდეც სახელმწიფო ენის სწავლებისას დიფერენცირებული მიდგომის შესაბამისი საგაკვეთილო აქტივობები. მაგ. ილია ჭავჭავაძეის „ კაცია ადამიანის „ მიხედვით ელექტრონული რესურსისა და ხელნაკეთი რესურსის შექმნა. . დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების, ინტერესებისა და უნარები მიხედვით. გარდა ამისა, სახელმწიფო ენის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები , რომლებიც იძლევა მათი ადაპტირების საშუალებას, რაც სწავლა-სწავლების პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების კარგი წინაპირობაა.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | წარმოდგენილი დოკუმენტაციით სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | კურიკულუმებიდან ჩანს და პედაგოგებმაც საუბრისას აღნიშნეს, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი და ჰქონდეთ დიფერენცირებული მიდგომები. როგორც პედაგოგმა აღნიშნა გასაუბრებისას, სკოლაში არ ყავთ ამ ეტაპზე მოსწავლე , რომელიც საჭიროებს ამ საგანში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. ინტერვიურების დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ იყენებს დიფერენცირებულ სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპებს სასწავლო პროცესში.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილ დოკუმენტებში და გასაუბრებითაც დასტურდება , რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. შესაძლებლობების ფარგლებში ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | დაწყებითი საფეხურზე შეფასების სისტემა, ძირითადად, ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად ზოგადი კრიტერიუმებია. სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების ცხრილები, თუმცა როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის წარმოდგენილი ცხრილები არის ზოგადი.<br><br>**რჩევა:** სასურველია შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეულ შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი, მიზანშეწონილია მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკების კიდევ უფრო მეტად სისტემური გამოყენება.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | შეფასების სისტემა მრავალფეროვანია და მიმართულია მოსწავლის აკადემიური ცოდნის ამაღლებისაკენ. შეფასების ორივე ფორმა - განმსაზღვრელი/განმავითარებელი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და ამოცანებზე და წარმოადგენს სწავლების განუყოფელ ნაწილს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს როგორც ზოგადი სახის განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის (მაგ.: ზეპირი და წერითი მეტყველების დავალებების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, გაკვეთილში ჩართულობის შეფასების |

| | |
|---|---|
| | რუბრიკები;), აგრეთვე კონკრეტული საკითხის - *(თემა - 'My summer adventures' - დაწყებითი საფეხური მე-3 კლასი)* - განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, სადაც გაწერილია კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები, ანუ რის მიღწევა უნდა შეძლოს მოსწავლემ თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, და მკაფიოდაა გამოიკვეთილი კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის. კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს როგორც ზოგადი სახის განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის (მაგ.: ზეპირი და წერითი მეტყველების დავალებების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, გაკვეთილში ჩართულობის შეფასების რუბრიკები;), აგრეთვე კონკრეტული საკითხის - ***პრეზენტაცია თემაზე: «Жизнь замечательных людей. Биография')*** - განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, სადაც გაწერილია კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები, ანუ რის მიღწევა უნდა შეძლოს მოსწავლემ თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, და მკაფიოდაა გამოიკვეთილი კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის. კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს როგორც ზოგადი სახის განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის (მაგ.: ზეპირი და წერითი მეტყველების დავალებების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, გაკვეთილში ჩართულობის შეფასების რუბრიკები;), აგრეთვე კონკრეტული საკითხის - ***(შემოქმედებითი დავალება, კლასი 10, პრეზენტაცია - „მოგზაურობა მე-16 საუკუნის ინგლისში")*** - განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, სადაც გაწერილია კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები, ანუ რის მიღწევა უნდა შეძლოს მოსწავლემ თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, და მკაფიოდაა გამოიკვეთილი კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კათედრამ წარმოადგინა ზოგადი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები, რომელსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. ინტერვიუზე აღინიშნა, რომ დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასებისთვის ხშირად |

| | |
|---|---|
| | გამოიყენებენ ისეთ საშუალებებს, როგორიცაა მოსწავლეზე დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, ასევე თითოეულ მოსწავლესთვის ჟურნალში ასახავენ განმავითარებელი შეფასების კომენტარს, რომელთანაც წვდომა მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმოადგენელს აქვს. ასევე ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების ფორმები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება **საბაზო და საშუალო საფეხურზე** სწავლა-სწავლების პროცესში. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ განმავითარებელი შეფასებისათვის ხშირად მიმართავენ მოსწავლეზე დაკვირვების, სიტყვიერი უკუკავშირის, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების ფორმებს.<br><br>**რჩევა:** შეფასების რუბრიკებში სასურველია უფრო კონკრეტულად განისაზღვროს, თუ რომელ სამიზნე ცნებას უკავშირდება თითოეული ინდიკატორი.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | მოსწავლეთა შეფასების სისტემა უმეტესად მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დავალებების შეფასების კრიტერიუმები.<br>ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთასა და ამოცანებს შეესაბამება სახელმწიფო ენაში სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სკოლას სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასების რუბრიკებს.<br>**რჩევა**-რუბრიკები საჭიროებს დამატებით განვითარებასა და დაზუსტებას, რეკომენდებულია, რომ თემის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები მომზადდეს ისგ სტანდარტების სრული შესაბამისობით.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| სპორტი | სკოლას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასების რუბრიკები. ისინი შეესაბამება ესგ ს მოთხოვნებს და საგნობრივ სტანდარტს. თუმცა გაიცა რჩევაც სამომავლოდ.<br>**რჩევა:** სამომავლოდ, სასურველი იქნება, რომ მათ მიერ შექმნილი შეფასების რუბრიკები იყოს მეტად მორგებულ საგნობრივ სტანდარტს, ისე რომ, აფასებდეს სტანდარტით გათვალისწინებულ თითოეულ სამიზნე ცნებას, კურიკულუმით გათვალისწინებული თემების შესაბამისად და კრიტერიუმები გამომდინარეობდეს იმ კონკრეტული თემის საკითხებიდან.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებისას. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებელს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით სკოლა ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე შეფასების რუბრიკის ნიმუში (ზოგადი, ცნებებთან მიმართებით აგებული და კონკრეტული,უშუალოდ დავალების კრიტერიუმებზე დაფუძნებული ).ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთად ამუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებს. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:** განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნა დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმებისა და მოთხოვნების გათვალისწინებას გულისხმობს. აღნიშნული რუბრიკა სწორედ ამ კრიტერიუმებს უნდა დაეყრდნოს.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები;*
- *შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;*
- *შემოქმედებითი დავალების ნიმუში;*
- *მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ნიმუშები.*
- *განხორციელებული პროექტების ბმულები;*
- *შეფასების ვერიფიკაციის წესი;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, გაკვეთილის გეგმებისა და სხვა დოკუმენტაციის, ასევე მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სასწავლო წლის სტრუქტურა, თემატური ერთეულები და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნები, ხოლო დაგეგმილი აქტივობები მიმართულია განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე და შეესაბამება სკოლის საგანმანათლებლო ხედვას.ამასთან, საბაზო და საშუალო საფეხურებზე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები ეფუძნება ინკლუზიურ და დიფერენცირებულ |

| | |
|---|---|
| | მიდგომებს; მასწავლებელთა განმარტებით, სწავლების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შესაძლებლობები, რაც ხელს უწყობს ეფექტიან ჩართულობასა და პროგრესს.<br><br>**რჩევა:** სასურველია კურიკულუმები მეტად იყოს სკოლის საჭიროებებზე მორგებული რეალური და დაძლევადი, ყოველივე ეს გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება სკოლის მიერ დაგეგმილ და შემუშავებულ კურიკულუმს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესი სრულად არის დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის მიხედვით: საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემატური ერთეულები და საკითხები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებსა და მისაღწევ შედეგებს; აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად; ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული მეთოდები და შეფასების ფორმები. ამის მტკიცებულებაა წლიური და თემატური დაგეგმვები, გაკვეთილის გეგმის ნიმუში, განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუში, შემაჯამებელი დავალების ანალიზი და მასწავლებლის რეფლექსია, რაც ადასტურებს კურიკულუმთან შესაბამისობასა და სისტემურ მიდგომას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | **დაწყებით საფეხურზე** სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმში გაწერილი სასწავლო პროცესი შეესაბამება ეროვნული სასწავლო სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. კურიკულუმში სასწავლო პროცესი დაგეგმილია თანმიმდევრულად და მოიცავს როგორც შუალედურ მიზნებს, ასევე აზუსტებს სამიზნე ცნებების შინაარსსა და მათ ქვეცნებებს. სასწავლო პროცესი მიმართულია საგნობრივი საკითხების მრავალმხრივი |

| | |
|---|---|
| | გააზრებისკენ და უზრუნველყოფს ცოდნის განზოგადებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და უზრუნველყოფს სამიზნე ცოდნის დაუფლებასა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას.სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ანალიზი აჩვენებს, რომ **საბაზო საფეხურზე** სასწავლო პროცესი შეესაბამება ეროვნული სასწავლო სტანდარტით განსაზღვრულ ძირითად ორიენტირებს. იგი დაგეგმილია თანმიმდევრულად, მოიცავს შუალედურ მიზნებს და ამავე დროს აკონკრეტებს სამიზნე ცნებების შინაარსსა და შესაბამის ქვეცნებებს.შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი ორგანიზებულია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნათა შესაბამისად და უზრუნველყოფს როგორც სამიზნე ცოდნის ათვისებას, ისე მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას.სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმი აჩვენებს, რომ **საშუალო საფეხურზე** სასწავლო პროცესი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო სტანდარტით განსაზღვრულ ძირითად ორიენტირებთან. იგი დაგეგმილია თანმიმდევრულად. განსაზღვრავს სამიზნე ცნებების შინაარსსა და შესაბამის ქვეცნებებს. სასწავლო პროცესი ორგანიზებულია კურიკულუმის მოთხოვნების მიხედვით<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგები ასწავლიან იმ თემებსა და საკითხებს, რომლებიც კურიკულუმებშია მოცემული, ცდილობენ კონკრეტული შუალედური მიზნებით გავიდნენ გრძელვადიან მიზანზე და მიაღწიონ საფეხურის შედეგს. ცხადია, იყენებენ კურიკულუმებში წარმოდგენილ ძირითად და დამხმარე რესურსებს. ვიანაიდან პროცესი ცოცხალია, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული კურიკულუმებში ცვლილებების შეტანაც.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა , რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში, პედაგოგების მიერ გაწერილია ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის ბაზაზე არსებული კარგი ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. პედაგოგების დახმარებით, სასწავლო პროცესის წასახალისებლად, კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა, როგორიცაა შიდასასკოლო და შიდასაკლასო ფესტივალები (მაგალითად „მხიარული სტარტები“), სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ სკოლის გარე, არაფორმალური განათლების მიმართულებითაც და აქვთ გარკვეული წარმატებებიც. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში, პედაგოგების მიერ გაწერილია ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის ბაზაზე არსებული კარგი ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. პედაგოგების დახმარებით, სასწავლო პროცესის წასახალისებლად, კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა, როგორიცაა შიდასასკოლო და შიდასაკლასო ფესტივალები შერჩეული სპორტის სახეობის მიხედვით, სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ სკოლის გარე, არაფორმალური განათლების მიმართულებითაც და აქვთ გარკვეული წარმატებებიც. მაგალითად ფრენბურთსა და ფეხბურთში.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებელთან გასაუბრება. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა. კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება, სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი, რაც ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში და დადასტურდა ინტერვიუს დროსაც.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სწავლების პროცესი მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებზე, საჭიროებებსა და მზაობაზე. პედაგოგები აქტიურად ცვლიან დაგეგმილ აქტივობებს, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და ადაპტირებულ რესურსებს. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა ც სხვადასხვა ფორმით ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში. სკოლა ითვალისწინებს მასწავლებელთა გამოცდილებასა და სასკოლო საზოგადოების მოსაზრებებს, რაც უზრუნველყოფს გამოწვევებზე დროულ რეაგირებას და სწავლა-სწავლების პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო კათედრის მიეს წარმოდგენილი შეფასების სისტემა პასუხობს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადეს და ნდობას. მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების შეფასებით. კათედრის მიერ შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები,ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და ზომავს საგნის სტანდარტის შედეგებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ ყოველთვის ობიექტური უკუკავშირი მიაწოდონ მოსწავლეებს. სასწავლო პროცესში ხშირად მიმართავენ მოსწავლეთა თვითშეფასებასაც. წარმოდგენილი შეფასებების რუბრიკები ასახავს აქტივობის შინაარსს, მიზნებს, კრიტერიუმებს ქულებთან ერთად, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას. მასწავლებლებმა საუბრისას გამოთქვეს მზაობა, რომ საკუთარი გამოცდილების გაანალიზების შედეგად კიდევ უფრო გააუმჯობესებენ შეფასების სისტემას, შემუშავებული ექნებათ შეფასების კრიტერიუმების შესაბამისი შეფასების რუბრიკები.<br><br>**რჩევა-** კარგი იქნება თუ შეფასების სისტემის ვალიდურობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებენ უფრო კონკრეტულ, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს.ასევე სასურველია შემუშავდეს შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის გაცნობის მექანიზმი. მოსწავლეებს წინასწარ მიაწოდონ დავალების პირობა, მიზანი და შეფასების კრიტერიუმები. კათედრის წევრებმა მოლოდინების შესაბამისად გააანალიზონ მოსწავლეთა ნამუშევრები შუალედურ მიზნებთან მიმართებით და მიაწოდონ უკუკავშირი კათედრაზე შეთანხმებული ფორმითა და ფორმატით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | შეფასების სისტემა წარმოადგენს რეფლექსიას მოსწავლეთა სწავლის პროცესზე. ამასთანავე შეფასება ემყარება გრძელვადიან სასწავლო მიზნებსა და ამოცანებსთუმცა სკოლას განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით მიეცა **რჩევა**-მოსწავლის ნაშრომის ანალიზის დროს უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს არა მარტო **რჩევა**-მისაღწევი შედეგები, არამედ მოსწავლის მიერ დაძლეული და დასაძლევი შედეგები მიღწეული შედეგის გასაუმჯობესებლად მოსწავლეებს რეკომენდაციის სახით ურჩიონ ისეთი კონკრეტული აქტივობების შესრულება, რომლითაც უკეთ გაიაზრებენ ხარვეზებს/ ვერ შესრულებულ შედეგებს და შესძლებენ მათ გამოსწორებას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი და აღწერილი აქვს შეფასების სისტემ ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი; როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთ კათედრას გაცნობიერებული აქვს, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია დ ამიტომ ის კარგად გააზრებულ სისტემურ ხედვას უნდა ეფუძნებოდეს. კათედრას აქვს მზაობ რომ შექმნას ისეთი ეფექტური შეფასების სისტემა, რომელიც არის ვალიდური, გამჭვირვალ სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილ განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში გამოკვეთილ შეფასების მიზანი, კრიტერიუმები და ინდიკატორები.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ორივე საგნის დაწყებითი საფეხურის,საბაზო და საშუალო საფეხურზე ზოგადი განმავითარებელი შეფასების და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, თვითშფასების დოკუმენტი და ვერიფიკაციის დოკუმენტი. ასევე მასწავლებლებთან საუბრის დროს გამოჩნდა, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან |

| | |
|---|---|
| | შეფასების რებურიკებს, ასევე მათ ინდივიდუალურად ეძლევათ განმავითარებელი შეფასების დროს კომენტარები რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, ასევე განხორციელებული კომპლექსური ბუნების დავალებების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით შექმნილი და შევსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ამ ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისობას ადასტურებს სახელმწიფო ენის პედაგოგთა ინტერვიუც, რომლის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერი დავალების, წერის, თუ ზეპირი გამოკითხვის წინ მოსწავლეებს დეტალურად აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომელნიც შემუშავებულია ესგ ს მოთხოვნების გათვალისწინებით და საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით. სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი და შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.** |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**
   სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა მოიცავს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობასა და გამჭვირვალობას. მშობლები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას მოსწავლის შეფასების შესახებ და სასწავლო წლის დასაწყისში ეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, შეფასების სისტემას, ნიშნის ამაღლების წესს და სემესტრული გამოცდების ორგანიზების პროცედურებს.კათედრების სხდომებზე მიმდინარეობს დავალებებისა და შეფასების ანალიზი, ამრიგად, შეფასების სისტემა ფუნქციონირებს სტრუქტურირებულად და უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულობას, გამჭვირვალობასა და სანდოობას.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**
   ვიზიტის პროცესში დადასტურდა, რომ სკოლას ორგანიზებულად აქვს დაცული მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ჩანაწერები და საგნობრივი კათედრების მიხედვით შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოები. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემებისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *ვერიფიკაციის დოკუმენტი ;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები;*
- *შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;*
- *შემოქმედებითი დავალების ნიმუში;*
- *მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ნიმუშები.*
- *განხორციელებული პროექტების ბმულები;*
- *შეფასების ვერიფიკაციის წესი;*

### 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა  და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმებში ასახულია, ასევე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე, მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, როგორც ელექტრონულს, ასევე მატერიალურს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის გაზრდას, საკითხის სიღრმისეულ გააზრებას.  რაც შეეხება სწავლის პროცესში გამოყენებულ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსს საგნობრივი კურიკულუმიდან გამომდინარე მიზნობრივად ჰქონდათ წარმოდგენილი.საგანში (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა)კურიკულუმები შემუშავებულია გრიფირებული  სახელმძღვანელოების მიხედვით. |

| | |
|---|---|
| | აგრეთვე კათედრა მრავლად იყენებს სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ბმულები მოცემულია კურიკულუმებში). პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მიუხედავად რეაქტივების და ხელსაწყოების მწირი რესურსებისა მაინც ხორციელდება აუცილებელი ექსპერიმენტები.<br><br>პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა რომ მიუხედავად საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის არარსებობისა ხელთ არსებულ მწირ რესურს აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში ექსპერიმენტების ჩასატარებლად.<br><br>**რჩევა:** კურიკულუმებში აისახოს ის რესურსები, რომლებსაც იყენებენ ამა თუ იმ საკითხის შესაბამისად.<br><br>**რჩევა**-სასურველია სკოლამ მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოს საჭირო რეაქტივებისა და სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისთვის საჭირო რესურსების შეძენა, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა პრაქტიკული და კვლევითი უნარების სრულყოფილი განვითარებისათვის.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები აქტიურად გამოიყენება სკოლაში და ხელს უწყობს ესგ ში გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების დაძლევას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი, ისე დამატებითი დამხმარე რესურსები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და სწავლების მიზნებთან შესაბამისობას. სასწავლო პროცესში ძირითად სახელმძღვანელოებთან ერთად გამოყენებულია აუდიო-ვიზუალური მასალა, სამუშაო ფურცლები და ინტერნეტრესურსები. ამის მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი და დამხმარე რესურსების ნუსხა, აგრეთვე, ინგლისურ ენაში განხორციელებული პროექტის გეგმა და რეფლექსია, განხორციელებული კომპლექსური |

| | |
|---|---|
| | ტიპის დავალება, მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც ადასტურებს რესურსების მიზანმიმართულ გამოყენებას სასწავლო პროცესის გამდიდრებისა და ეფექტიანობისთვის.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა  დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) სწავლების პროცესში გამოყენებული ძირითადი და დამატებითი რესურსები შეესაბამება საგნობრივ მოთხოვნებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ სასწავლო მასალის გააზრებას. კურიკულუმებში წარმოდგენილი ძირითადი რესურსი დამტკიცებულია კანონმდებლობით. როგორც ძირითადი, ისე დამხმარე საგანმანათლებლო საშუალებები ქმნის საფუძველს დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე სტანდარტით განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მიღწევისთვის. კურიკულუმებში განსაზღვრული ძირითადი რესურსები დამტკიცებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ეხმარება მოსწავლეებს სტანდარტით განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების ეფექტიანად მიღწევისთვის.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა  დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენაში წარმოდგენილი კურიკულუმები, ასევე ინტერვიუს დროს პედაგოგთა გამოკითხვა ადასტურებს იმას, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები ნამდვილად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა  დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა  დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | პედაგოგებმა  გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: მატერიალურს რესურსს - არსებულ |

| | |
|---|---|
| | ინფრასტრუქტურას და სპორტულ ინვენტარს, ძირითად რესურსს- გზამკვლევებს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლისათვის, პრეზენტაციებს თეორიისათვის და დამხმარე ინტერნეტ რესურსს-ვიდეორგოლებს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებითა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და საინტერესო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. სკოლა აღჭურვილია ახალი და თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტით, სადაც ასევე გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რომლებიც გაწერილია კურიკულუმებში. ესაა დამხმარე ტექსტები, სახელმძღვანელოსთან ერთად, ისე სასწავლო თემებთან შესაბამისი ვიდეო და აუდიო მასალა, როგორებიცაა ანიმაციური, დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს იმაზე, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეებთან ერთად მიზნობრივად იყენებენ მათ.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

## 2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ, რესურსები შეირჩევა გააზრებულად, გათვალისწინებულია მათი ღირებულება, აკადემიური სიზუსტე და გამოყენების ეფექტიანობა სასწავლო |

| | |
|---|---|
| | პროცესში.რესურსები წინასწარაა შერჩეული კათედრის მიერ. საბაზო და საშუალო საფეხურზე ხდება სასწავლო პროცესში კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი რესურსების (სახელმძღვანელო, სამუშაო რვეულები) და დამხმარე რესურსების გამოყენება. მიუხედავად მწირი ლაბორატორიული რესურსისა ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე აქტიურად გამოიყენება უსაფრთხო სადემონსტრაციო ექსპერიმენტები და ასევე აქტიურად იყენებენ დამხმარე რესურსად ვიდეორესურსებს.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ შერჩეული დამხმარე რესურსები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება საგნობრივ კათედრაზე შეთანხმების და რეკომენდაციის საფუძველზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა, რაც ადასტურებს რესურსების მიზნობრივ და პასუხისმგებლიან შერჩევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | დაწყებით, საბაზო და სშუალო საფეხურის (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საგნებში გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და დამტკიცების პროცესი ხორციელდება სკოლის შიდა რეგულაციების საფუძველზე. აღნიშნული პროცედურის ფარგლებში, რესურსების ვალიდაციას უზრუნველყოფს თავად სკოლა. დამხმარე მასალების შერჩევა მიმდინარეობს საგნობრივ კათედრებზე, სადაც მასწავლებლები ერთობლივად განსაზღვრავენ მათ შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან. პროცესში უპირატესობა ენიჭება იმ რესურსებს, რომლებიც თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან, ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. |
| სპორტი | გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსი ვალიდურია სასწავლო თემებისა და სამიზნე ცნებების მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება რესურსების ესგ-ისთან შესაბამისობა, მოწმდება ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, |

| | |
|---|---|
| | როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

**3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ, რესურსები შეირჩევა გააზრებულად, გათვალისწინებულია მათი ღირებულება, აკადემიური სიზუსტე და გამოყენების ეფექტიანობა სასწავლო პროცესში.რესურსები წინასწარაა შერჩეული კათედრის მიერ. საბაზო საფეხურზე ხდება სასწავლო პროცესში კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი რესურსების (სახელმძღვანელო, სამუშაო რვეულები) და დამხმარე რესურსების გამოყენება. მიუხედავად ლაბორატორიული რესურსების შედარებით შეზღუდული რაოდენობისა, სასწავლო პროცესი გამდიდრებულია უსაფრთხო სადემონსტრაციო ექსპერიმენტებით, ციფრული ტექნოლოგიებითა და მრავალფეროვანი ვიდეორესურსებით, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა ჩართულობის, კვლევითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. გამოყენებული რესურსები უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირებას და სასწავლო პროცესის ინტერაქტიულ ფორმატში წარმართვას და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა სრულად უზრუნველყოფს სწავლისათვის საჭირო მატერილურ რესურსებსა და თვალსაჩინოებებს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა სივრცის ამსახველი ფოტო მასალა. ამასთანავე, სკოლაში ვიზიტის დროს პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის დოკუმენტაციის ანალიზისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური ბაზითა და სასკოლო ინფრასტრუქტურით. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, ინტერესების მიხედვით გამოიყენონ არსებული რესურსები და აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში.ინტერვიუების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს პრაქტიკული ხასიათის აქტივობებს, სასკოლო გამოფენებს, შემოქმედებით ღონისძიებეს.<br><br>**რჩევა:** სასურველია სკოლაში დაინერგოს შემოქმედებითი წრეები (მაგ. მუსიკისა და სახვითი ხელოვნების მიმართულებით), რაც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას უფრო მეტად განავითარონ თავიანთი ინტერესები და პრაქტიკული უნარები.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენაში კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ძირითადი მატერიალური რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები, |

| | |
|---|---|
| | მასწავლებლების მიერ შექმნილი მატერიალური და ციფრული რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. რესურსები შეესაბამება სასწავლო მიზნებს და საკმარისია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის ეფექტიანი მომსახურებისთვის.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული კარგი მატერიალური რესურსით და ინვენტარით მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, სკოლას მიღებული აქვს ახალი კომპიუტერები და სხვა ტექნიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდრტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლას აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. ყოველივე წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

   სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებელი ფლობს შესაბამის კვალიფიკაციას - 17 პედაგოგია, აქედან 16 უფროსი და 1-წამყვანი. მათ გააჩნიათ საჭირო კომპეტენცია, რათა დაგეგმონ და განახორციელონ მოსწავლეზე ორიენტირებული აქტივობები და შეაფასონ შედეგები ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.
   სკოლას ყველა საგანში ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმის ეფექტიან განხორციელებას, გარდა მათემატიკისა - მათემატიკაში კვირეულ 30 საათზე მეტია სკოლაში და მხოლოდ ერთი მათემატიკის მასწავლებელი, რომელიც ვიზიტის დროს ბიულეტენზე იმყოფებოდა.

   სკოლას მიეცა რჩევა იზრუნოს მათემატიკის პედაგოგის კადრის გაზრდაზე.
   **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *განმავითარებელი და განმსაზრელი შეფასების რუბრიკები;*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები;*
- *შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;*
- *შემოქმედებითი დავალების ნიმუში;*
- *მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ნიმუშები.*
- *განხორციელებული პროექტების ბმულები;*
- *შეფასების ვერიფიკაციის წესი;*
- *მასწავლებლის პირადი საქმეები;*
- *კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**
   სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინდივიდუალური მიღწევებისა და განვითარების გამოვლენას, ასევე სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების იდენტიფიცირებასა და მათ გადაჭრას. მონიტორინგი ხორციელდება კათედრის წევრთა ურთიერთდასწრებით, უკუკავშირისა და რეკომენდაციების გაცემის გზით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია მონიტორინგის პროცესი, რომელიც მოიცავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებასა და სასწავლო პროცესზე სისტემურ დაკვირვებას. აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს სირთულეები და განისაზღვროს მათი გადაჭრის გზები. კურიკულუმის მონიტორინგი ხორციელდება სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, მოსწავლეთა შედეგების ანალიზითა და შეფასების რუბრიკების გამოყენებით მონიტორინგი ეფუძნება კათედრების ანგარიშებს, თვითშეფასების შედეგებსა და შემაჯამებლების ანალიზებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლაში მოქმედი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირებისთვის, საჭიროებების განსაზღვრისთვის და დროული უკუკავშირის უზრუნველსაყოფად. პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, რომელიც ერთობლივად ადგენს სირთულეების გადაჭრის გზებს ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე მონიტორინგის პროცესში გათვალისწინებულია მშობლების მონაწილეობაც, რაც ინტერვიუების დროსაც დადასტურდა. ამასთან, აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდასა და მოტივაციის გაძლიერებას, რაც თავად პედაგოგებმაც აღნიშნეს.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების მასალები;
- კათედრის ოქმები ;
- მასწავლებელთა/დამრიგებლთა ანგარიშები ;

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში კოლაში მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სისტემური და ინტეგრირებული მიდგომით, რომელიც მოიცავს ჰოლისტურ ხედვა, კათედრები იყენებენ სხვადასხვა ინსტრუმენტს: შეფასების რუბრიკებს, შემოქმედებით დავალებებს, მოსწავლეთა ნამუშევრებს სამომავლოდ დაგეგმილია შეფასების სისტემის კიდევ უფრო გამყარება მასწავლებელთა თვითშეფასების, მოსწავლეთა უკუკავშირისა და ხარისხის განვითარების ჯგუფების რეკომენდაციების საფუძველზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**
   სკოლა სამუშაო პროცესის შეფასებას ახორციელებს მრავალმხრივი მიდგომით, რომელიც მოიცავს როგორც აკადემიურ მიმართულებას ასევე ამატებით საგანმანათლებლო აქტივობებს, სასკოლო ღონისძიებებში ჩართულობასა და პროექტულ საქმიანობას, რაც მოსწავლეთა საერთო განვითარებაზე აისახება. შეფასების პროცესში ასევე გათვალისწინებულია მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**
   სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებს, შემაჯამებელი ანალიზის ფორმებსა და შემოქმედებითი დავალებების შეფასებას. შეფასების პროცესი მოიცავს მონაცემების მიზნობრივ შეგროვებასა და მათ ანალიზს. მოსწავლეთა შესახებ ინფორმაცია ძირითადად გროვდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების საფუძველზე.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**
   ვიზიტისას დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს მასზე მოქმედ მრავალ ფაქტორს. შეფასების პროცესში განიხილება როგორც აკადემიური შედეგები, ისე გარემო პირობები, დროის მართვა, რესურსების ხელმისაწვდომობა და ფსიქო-ემოციური მდგომარეობა.განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფუნქციურ-კომპეტენციური უნარების განვითარებას და იმ სოციალურ ფაქტორებსაც, რომლებიც გავლენას ახდენს სწავლაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები;*
- *შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;*
- *შემოქმედებითი დავალების ნიმუში;*
- *მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ნიმუშები.*
- *განხორციელებული პროექტების ბმულები;*
- *შეფასების ვერიფიკაციის წესი;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
   სასწავლო წლის განმავლობაში კათედრების შეხვედრებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და განიხილავენ საგაკვეთილო პროცესში, ასევე წერითი დავალებების შესრულებისას გამოვლენილ საჭიროებებსა და სირთულეებს. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე ხდება არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი გათვალისწინება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება როგორც უკუკავშირი, რომელიც საფუძვლად უდევს მომავალი სასწავლო წლის განახლებულ კურიკულუმებში შესაბამისი ცვლილებების. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**
   სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც აღწერილია საგნობრივი კურიკულუმის შექმნისა და მხარდაჭერის პროცესი და ჩართული მხარეების ფუნქცია-მოვალეობები. გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება, საუკეთესო პრაქტიკული მაგალითები, სასკოლო საზოგადოების რეკომენდაციები და შემაჯამებელი და შემოქმედებითი დავალებების შედეგები. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე მუშავდება კურიკულუმის განახლებული ვერსია. სკოლა ახორციელებს მონიტორნიგს და მასზე დაყრდნობიტ აფასებს შედეგებს **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები;*
- *შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;*

- *შემოქმედებითი დავალების ნიმუში;*
- *მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ნიმუშები.*
- *განხორციელებული პროექტების ბმულები;*
- *შეფასების ვერიფიკაციის წესი;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

..........................................................................................................................................

..........................................................................................................................................

..........................................................................................................................................

..........................................................................................................................................

თარიღი :11.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი ექსპერტი: აკაკი სადუნიშვილი -

ხათუნა  თოიძე -

ნიკოლოზ გურგენიძე -

მარინე შანშიაშვილი -

მაკა გიორგბერიძე -

გიორგი ჩაჩუა -

ნინო თედიაშვილი -

ნანი სალია -

ეკატერინე მაკარიძე -

მარინა ანესაშვილი -